ნიანგი

ISSN 0132-6015

18 83

— რად გინდა, სახლში ამდენი შაქარი რომ მიგაქვს?!
— სეტყვის საწინააღმდეგოდ!

ნახ. ლ. ზამბაკიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაპატიეთ, ბატონო, უკან წავიღებ!
— ახლა იყოს და, იცოდე, მეორედ აღარ გაბედო!

ვაი, სირცხვილო!..

გლახაკო ხელიჭუჭყიაშვილს, რომელსაც მამაპაპისეული ვაზი ამოუძირკავს და საზამთრო დაუთესავს.

ჩიტმა მაუწყა, რა შვილიც
ჰყოლიხარ მამულს, გლახაკო,
და ლექსის ცეცხლად ქცევა მსურს,
რომ შიგ დაგწვა და დაგხრაკო!

ვინ გშობა გულგველ მურვან-ყრუდ,
ან სულძაღლ ჯელალედინად?!
პაპისეული ვენახის
მოსრვა რამ გაგაბედვინა?!

ვაზისგან ჩვენი გვარტომი
განზე არასდროს გამდგარა!
თვით წმინდა ნინომ იმ ძველ დროს
ვაზის ჯვრით იალამდარა!

ვაზის ჩუქურთმა ხიბლს მატებს
ძველ ტაძარს, კოშკს თუ სასახლეს,
ორგულს რომ თვალებს უბრმავებს
და ერთგულს ცამდე ამაღლებს!

გაგიჟდი?! ყურძნის მაგიერ
საზამთრო მოგყავს, აფრაკო?!
ყველამ რომ შენებრ შესცოდოს?!
აუ, რა გელაპარაკო!

დათვლა ხომ იცი?! ვენახის
სიკეთე თავად დათვალე:
ვაზია ჩვენი სიმდიდრე,
სიმღერის წყაროს სათავე!

ძმობის სუფრასთან ლაზათის
მისხალი რომ არ გვაკლია,
ძარღვებში სისხლად ჩამტკბარი
ვაზის ნაყოფის მადლია!

ვაზის მადლია, უცხოელთ
რომ ვფერფლავთ ცეკვის ცეცხლითა,
ვაზმა აქცია ქართული
მიწა სავანედ კეთილთა!

ვაზის თილისმამ მონუსხა
ჩვენი დარბევის მსურველი,
„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს
ასდის რქაწითლის სურნელი!

შენ კი... ნაჯახი ვენახის
სამტროდ რამ აგაღებინა?!
თოფი ვერავინ გესროლა, —
კაცურ კაცს ყველას ეძინა?!

დღეს კენტად ხარ და, რა გვიჭირს.
მაგრამ ხვალ სხვაც რომ იწყვილო.
ვაზისთვის დამწვარ წინაპრებს
რა ვუთხრათ?! ვაი, სირცხვილო!..

ქიშვარდ ისაკაძე

ვინ ერთგულია, ვინ—არა, ქვეყანამ დაინახოს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რინგზე არიან სამოცისა და სამწლინახევრის ფალავნები. ყურადღება! ყურადღება! სენსაციური ამბავი, უნიკალური და დაუჯერებელი! სამწლინახევრის ყრმა ღირსეულ ფალავნობას უწევს სამოცი წლის ჭარმაგს!.. ყურადღება! ყურადღება!

სამოცი წლისა — ეს მე გახლავართ, ნიანგი, ხოლო სამწლინახევრისა... თბილისის ახალი გლდანის რაიონი! და იგი ყოჩივით დგას ჩემს წინ.

საზღვრები მყარად დაუდგინეს, ტერიტორიაც სტაბილური აქვს — 50 კვადრატული კილომეტრი. მოსახლეობა კი კოსმოსური სიჩქარით მზარდი — უკვე 150 ათასს მიაღწია!

...გონგის ხმაზე რეფერიმ „რინგზე" მიგვიხმო. 35-კაპიკიანი პასტის კალმითა და ბლოკნოტებით შეიარაღებულმა, მწვრთნელის უკანასკნელი დარიგებანი შევისმინე და პირველი შევები ყრმას. შევები, მაგრამ, მერე რა?.. ძვრაც ვერ ვუქნი!.. მოვუქნევ თითს, იცილებს გერგილიანად, მივაშველებ კუდს — თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერ ვატან თვალს, გავთავდი კაცი!

მივსდევ და მივძახი: — დაგაკვირდე ერთი და აგზომ-აგწონო, ვინა ხარ, რას საქმიანობ და რა გაბადია-მეთქი! — მეო?! — შეაჩერა წამით სვლა, მხარიღლივ გამიყოლია, — მე რას ვსაქმიანობ და მე რა მაბადიაო?! — შეიცხადა ჩემი სიტყვები და ჩამოჰყვა:

— ჩემი სახელის გაგონებისას ყველაზე უფრო ალბათ შამპანუ-



რი ღვინოების ქარხანა გაგახსენდებათ, ომის დაწყების წინ რომ გაიხსნა და ამ ადგილს მაშინ ყველა „შამპანურის დასახლებას" ეძახდა. საბჭოთა კავშირში არსებული 31 ქარხნიდან იგი ყველაზე დიდია, მაგრამ ჩემს დროში (ამ სამ-ნახევარ წელიწადში!) მაინც მეტისმეტი ქნა — 12-დან 20 მილიონ ბოთლამდე გაიზარდა მისი წლიური წარმადობა. ხომ გსიამოვნებთ ხოლმე ბრიუტი, მშრალი, ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი? სულ მალე დაკმაყოფილდება საერთო მოთხოვნილება და ამ შესანიშნავ ოთხეულს წითელი შამპანური — „თბილისური ცქრიალაც" შეემატება. პირველად მომხმარებელი მას გეორგიევსკის ტრაქტატის საიუბილეო დღეებში იხილავს ნახევარი მილიონი ბოთლის რაოდენობით.

— მერე, დავიჯერო, იქ გასაკენწლავი არაფერია? — გადავკარი, როდესაც მორიგი დარტყმაც აიცდინა.

— თუ ქარხნის დირექტორს **რ. ჯაოშვილს**, მთავარ ინჟინერს **ა. ბოჭორიშვილსა** და მთავარ შამპანისტს **ვ. ულარჯიშვილს** გენდობით, ნამდვილად ყველაფერი რიგზეა. მუშების დენადობა ფაქტობრივად არ შეინიშნება, რადგან წარმოება მთლიანად ავტომატიზებულია, საშუალო თვიური ხელფასია 180 მანეთი, აქვთ ერთჯერადი უფასო კვება და ჩინებული სისუფთავეც არის გარშემო.

— მგონი, სადღაც აქვეა კონიაკის ქარხანაც, არა?

— კარგია, ზოგ-ზოგიერთივით რომ ზეპირად არ გცოდნიათ მისი ადგილსამყოფელი! დიახ, აქვეა, იმასაც შესანიშნავად აქვს საქმე აწყობილი. შარშანდელი გეგმა — მილიონ 280 ათასი დეკალიტრი — გადაჭარბებით შესრულდა; წლეულს 2 მილიონ 200 ათასი დეკალიტრი უზის გეგმაში, მაგრამ, როგორც ქარხნის დირექტორი **ოთარ რობაქიძე** იმედოვნებს, ესეც გადაჭარბებით შესრულდება.

— შიგადაშიგ უცხოურ კონიაკს ეტანება ხალხი. ამაზე რას მოგვახსენებთ? — ვკითხე სულის მოთქმისთანავე.

— უცხოური ეგონა სწორედ უინსტონ ჩერჩილს ქართული „ენისელი", რომლის ავტორია აწ განსვენებული **ვ. დ. ციციშვილი**. ფრანგულიაო, დაიჟინა თურმე იალტის კონფერენციაზე. ცხრა ოქროს მედალი აქვს მიღებული და სამი — ვერცხლის!

პირწმინდად წავაგე პირველივე რაუნდი. გახვითქულმა და შებარბაცებულმა უკან დავიხიე და იღბლად გონგის ხმაც გაისმა. შესვენებისას მომვარდა ჩემი მთავარი მწვრთნელი, თან კუნელის შტოებს მიფრიალებდა პირისახის ორივე მხარეს და თან მაკვალიანებდა, ტაქტიკა შეცვალე, უფრო შორი დისტანციიდან შეუტიეო!..

— კი მაგრამ, მხოლოდ ალკოჰოლური სასმელებით უნდა ფონს გასვლა? — ვკითხე რეფერის მეტოქეზე.

— ღმერთმა დაგვიფაროს! — ჩემს გასაგონად უპასუხა ყინჩად მეტოქემ.

— მაშ, ეს რა არის, საწარმოო გაერთიანება „თბილღვინოც" რომ შენს ტერიტორიაზეა მოკალათებული?! უკეთ, მისი სათავო ქარხანა?! ისე, ფერზე ეტყობათ, აქაც გადამეტებით ასრულებენ გეგმებს, მაგრამ თვეზე მეტს რომ ვერ ძლებს აუჭრელად ბოთლის ღვინო, თუ გიფიქრიათ ამაზე?! — მოვამზადე პირდაპირი დარტყმა.

— შეგევლოთ სათავო ქარხანაში, ყური გეგდოთ დირექტორ **თამაზ კანდელაკისათვის**, წარმოების უფროს **აბესალომ ოდიშარიასა** და საამქროს უფროს **ზურაბ კანდელაკისათვის** და გახარებდნენ, რომ მათ ქარხანაში (პირველად მთელს საბჭოთა კავშირში!) წელიწადზე მეტია დაინერგა ახალი ტექნოლოგიური მეთოდი: ღვინო 70 გრადუსამდე ცხელდება ჩამოსხმის წინ და ამით უფრო სტაბილური ხდება, რადგან პირწმინდად სპობს მიკრობებს. ახლა ჩვენი ჩამოსხმული ღვინო რატომ წელიწადსაც არ ძლებს ფერუცვლელად! თუმცა მთავარი ეს არ არის. თქვენ ბრძანეთ, მარტო ალკოჰოლური სასმელების ხარჯზე გადიან ფონსო. ვითომ რატომ, აქვე არაა თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა?!

— კარგი ჩაი კარგია, მაგრამ, აბა, თამარ ყუფუნიასაც ვკითხოთ და იტყვის, როგორი ხარისხის ჩაისაც აწვდით მომხმარებელს! — განვახორციელე გვერდითი დარტყმა.

— ჯერ ერთი, ესაა ასაწონი, მეორეული ფაბრიკა და დამოკიდებული ვართ იმაზე, თუ როგორ ნედლეულს მოგვაწვდიან. მეორეც, სპეციალურად გვყავდა მივლენილი ფაბრიკის დირექტორი **თამაზ იმნაიშვილი ინგლისს!** — წამოიწყო შეტევა მეტოქემ.

გაგრძელება მე-4-5 გვ.

— გრენლანდიაში უნდა გაგეგზავნათ, იქ უფრო განვითარებულია ჩაის კულტურა! — იმედია, პირდაპირი ირონიული დარტყმა მსაჯებს არ გამორჩებათ.

— ინგლისშია აღმოცენებული ფეხბურთი. მაგრამ კი დაბომბა თბილისის „დინამომ“ მაგათი „ლივერპული“! — ისეთი კონტრდარტყმა მაგემა, წავბარბაცდი, — შესანიშნავი ინგლისური მანქანები შემოგვაქვს, რითაც მკვეთრად გაუმჯობესდება შეფუთვის ხარისხი!

— აკი პირველადს ფაბრიკებზე ვართ დამოკიდებულიო?! მანქანა რას უშველის?! — ვცადე თავის დაღწევა, — ბრძნულადა თქვა საიათნოვამ: — გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა, რაგინდ მაღლა. თახჩაზედაც დაიდოსო!

— თამაზ იმნაიშვილს მთელი ლიხსიქითა საქართველოც რომ დაუმტკიცო, მტკიცედ ატარებს ერთადერთ პრინციპს: თუ არაა უმაღლესი ხარისხისა, გადაჰყავს დაბალ ხარისხში! არანაკლებ ბრძნულადა თქვა გურამიშვილმა: — ვინც არა ჰგავს კახაბერსა — მე ვერ ვიტყვი კახაბერადო! — წამომაგო საკუთარ ლიტერატურულ ილეთზე.

— რატომ გგონიათ, თქვენი ქალბატონები მარტო ხარისხიან ჩაიზე ოცნებობენ და აღარც ჩაცმაზ ახსოვთ და აღარც დახურვა?! — ვიფიქრე, სუსტ ადგილს მოვუძებნი და მერე ნახოს-მეთქი.

— საიდან დაგებადათ ეგ აზრი?! პირიქით, ვისაც აგრე ჰგონია, მოუტყუებია თავი და ეგაა! აგერ არა გვაქვს თეთრეულის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება, 3600 კაცს რომ აერთიანებს?

— ისე არხეინად არიან, მგონი. სასიმღეროდაც ჰქონიათ საქმე,— გადავკარი ფაბრიკის მესვეურებზე მეტოქეს.

— რატომაც არა! მე შენ გეტყვი და, მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის უხდებათ შორს წასვლა. აგერ გვაქვს ფაბრიკა, ყურის ძირში. ხუთასკაციანი კოლექტივი ხუთი მილიონი. მანეთის პროდუქციას უშვებს წლიურად. მათ შორის პიანინო „ივერიას“ და გიტარებს. სულ მალე კი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მითითებით დაამზადებენ მცირეგაბარიტიან როიალს, ხმის მოდერატორით და საკონცერტო გიტარებს.

— მოდერატორი რას ნიშნავს? — არ ვაცალე უცხოური სიტყვით კეკლუცობა.

— როდესაც ბავშვი ოთახში იმეცადინებს, მეზობლებს არ შეაწუხებს როიალის ხმა, — შევატყვე. თვითონაც მოეწონა ნათქვამი. როგორც იტყვიან, ხმა აღარ ამომიღია. უკან დავიხიე, მაგრამ რაღა დროს უკან დახევა იყო, საცაა, რაუნდი დამთავრდებოდა! ჩემმა მწვრთნელმა დრო იხელთა და წამჩურჩულა: — ეგ ყველაფერი მზამზარეული დახვდათ. აი, თქვენს დროს რა სიახლეები გაქვთ-თქო, აჯახე პირდაპირი კითხვა!

— ეგ ყოველივე ჰო, მაგრამ ამ სამ წელიწადში რა მოიმაქნისეთ, მითხარი, თუ ბიჭი ხარ! — წავედი ჯიქურ.

— გეტყობა. მართლა ბუნდოვანი წარმოდგენა გქონია ჩემზე. რაც ჩემს დროში გლდანში სიახლე დაინერგა და რაც ჩემს ხელში აშენდა, ალბათ ბევრი ვერ დაიტრაბახებს! — დაფიქრდა, რით დავიწყოო, — ავიღოთ თუნდაც მუხიანის დასახლება. რამდენი ლამაზი ცხრასართულიანი შენობა წამოვჭიმეთ სულ მოკლე დროში! დასახლება 50 000 კაცზეა გამიზნული. სულ ახლახან გაიხსნა იქ პირველი ბაგა-ბაღი (ეს მეექვსეა რაიონში ამ სამი წლის მანძილზე) აშენდა სამი ახალი სკოლა, აშენდა და უკვე მოქმედებს ოლიმპიური რეზერვების ხელბურთელთა სკოლა, გაიხსნა ახალი ქართული დრამატული თეატრი (დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, **ლერი პაქსაშვილია!**), აშენდა პიონერთა სახლი, სავაჭრო ცენტრი, საბინაოსაექსპლუატაციო ტრესტის კულტურის სახლი. სულ მალე მწყობრში ჩადგება სახელმწიფო ბანკის შესანიშნავი შენობა! — დამაყარა სულმოუთქმელად და რეფერის რომ ნოკდაუნი არ ჩაეთვალა, შევაგებე: — კი მაგრამ, იმ 50 000 კაცს, მუხიანში რომ დასახლდება, სამუშაო არ უნდა?!

გიორგი კურტანიძე,

სოციალისტური შრომის გმირი. სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირი.

— უნდა და იმუშაოს მერე! სულ მალე ჩადგება მწყობრში რამდენიმე მსხვილი საწარმო, რომელთაც დიდძალი მუშახელი დასჭირდება! — თქვა ამაყად და მივხვდი, რომ მეორე რაუნდიც მივასამშაბათე.

მესამე და გადამწყვეტი. ვიდრე მესამე. გადამწყვეტი რაუნდი დაიწყებოდა, პრესტიჟისათვის ვცადე მისი მოგება. მომეცა შესაძლებლობა ტაიმ-აუტის დროს შევხვედროდი **პარტიის გლდანის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ო. შ. ხიზანიშვილს.** ვიფიქრე, იქნებ რაიმე ისეთი ინფორმაცია დავტყუო, გადამწყვეტი რაუნდისთვის გამომადგეს-მეთქი.

— გამოგიტყდებით, ბევრია ლაპარაკი თქვენი პარტიული ორგანიზაციის თაობაზე, მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე. ლაპარაკია არა მხოლოდ კულუარებში, მთელი პრესა, მათ შორის ცენტრალური, რადიო, ტელევიზია სისტემატურად იუწყება ამ სიახლეებზე. გთხოვთ, ორიოდე სიტყვით გამაგებინოთ, რა ხდება, ბოლოს და ბოლოს. ასეთი თქვენს რაიონში?

— კაცმა რომ თქვას. ჩვეულებრივი ამბავი: პრაქტიკულად ხორციელდება ჭეშმარიტი (და არა ფორმალური!) დემოკრატიზაცია. თვით ის ფაქტიც, რომ მე, ზეინკალი კაცი, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვარ, ამაზე მეტყველებს. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ ყოველდღიურობაში დავამკვიდროთ დემოკრატიის უზენაესი პრინციპი — ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის! ძირითად საკითხებს, არსებითად, თვითონ კოლექტივი უნდა წყვეტდეს. დავასახელებ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს: შამპანური ღვინოების კომბინატში დირექტორის მოადგილედ. კოლექტივის თხოვნით, დაინიშნა **ზ. ბაღდავაძე,** რომელიც ადრე საფინანსო განყოფილების გამგე გახლდათ; იქვე **ა. ბოჭორიშვილი** მთავარი მექანიკოსობიდან მთავარ ინჟინრად გადავიყვანეთ. გაერთიანება „თბილღვინოს“ ყოფილი მთავარი ბუღალტერი **ა. ივანიშვილი** ამჟამად გენერალური დირექტორის მოადგილეა. ასევე კოლექტივის ჩარევით დავაწინაურეთ ამხანაგები ჩაის ფაბრიკაში (თვით დირექტორი!), „ცენტროლიტისა“ და კონიაკის ქარხნებში.

მასებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის მხრივ მეტად ეფექტური გამოდგა ჩვენი შემოღებული ეგრეთ წოდებული მიკრორაიონის საბჭოები — საზოგადოებრივი ორგანოები, რომელთა მნიშვნელობაზეც ისიც მშვენვრად მეტყველებს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული და სამეურნეო მუშაობის კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე სპეციალური სემინარი ჩაუტარდათ მიკრორაიონების საბჭოების კომიტეტების თავმჯდომარეებს.

შემოვიღეთ დირექტორთა სადისკუსიო კლუბები, რომელთა სხდომები პერიოდულად ტარდება სხვადასხვა საწარმოში, სასწავლო ორგანიზაციებში სხდომებზე ყველა დირექტორს აქვს უფლება თავისუფლად თქვას, რა მოსწონს კოლექტივში და რა—არა. რასაკვირველია, ობიექტურ შენიშვნებს შემდგომში ითვალისწინებენ, მაგრამ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები შენიშვნა დაიმსახუროს. ამითაა ეს კლუბები პროგრესული ფორმა, თანაც ეფექტური.



ვახტანგ ემნაძე, სოციალისტური შრომის გმირი, ტაქსის მძღოლი.

რაიონის ეკონომიკური განვითარების საქმეს ემსახურება პარტიის რაიკომთან შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური საკოორდინაციო საბჭოები.

ამ სამი წლის განმავლობაში ორჯერ ჩავატარეთ მოსახლეობის პასპორტიზაცია (არათუ ჩვენს ქალაქში, იქნებ კავშირშიც პირველად!). პასპორტიზაცია, როგორც წესი, მოსახლეობის საკავშირო აღწერის დროს ხორციელდება ხოლმე. ჩვენ კი, ასე ვთქვათ, გეგმის გარეშე ჩავატარეთ. რათა ყოველთვის ვიცოდეთ, როგორი მდგომარეობა გვაქვს რაიონის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ყველაზე არსებული ფაქტორის — შრომითი რეზერვების მხრივ.

ზემოჩამოთვლილი ფორმებისა და მეთოდების უნარიანი გამოყენებით გლდანის რაიონის ეკონომიკური პოტენციალი განუხრელად იზრდება. შარშანდელი წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვედით — გეგმის ზევით გამოვუშვით 8 მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი!

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რაიონის მშრომელები არც წლევანდელ წელს გაასრულებენ წარუმატებლად. წარმატების მისაღწევად კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღმოვფხვრათ ჩვენს მუშაობაში არსებული ხარვეზები, ნაკლოვანებები.

— გაქვთ კია ნაკლოვანებები? — როგორც იქნა, მოვითქვი სული.

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით გვაქვს!..

გონგის ხმაზე რეფერის ვანიშნე, მზად ვარ-მეთქი და „მეტოქეს“ მივმართე:

— დავადგინე, რომ წარმატებებთან ერთად ნაკლოვანებანიც გქონიათ.

— იმ ნაკლოვანებებს განაპირობებენ როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორები.

— ეგ ჩემთვის სულ ერთია. ხარვეზი — ხარვეზია!

— ათეული წლების განმავლობაში არ ღირსებია ახალი ტექნიკით აღჭურვა ავჭალის მინის ტარის ქარხანას, სილიკატური აგურისა და საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხნებს, ჩაის საწონ ფაბრიკას, რაშიც, რასაკვირველია, შესაბამისი უწყებები თუ სამინისტროებია დამნაშავე. როგორ შეიძლებოდა, ვთქვათ. სპეციალური საინჟინრო გაანგარიშების გარეშე დაენერგათ მინის ტარის ქარხანაში შამპანური ღვინოების ბოთლების წარმოება?! ამაზე რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსაკვებტარამ“ უნდა აგოს პასუხი!

სილიკატური აგურის ქარხანასა და „ცენტროლიტში“ რეკონსტრუქციის სამუშაოები რომ ჭიანურდება, რა თქმა უნდა, მშენებლობის სამინისტროს მესამე ტრესტის ბრალია.

„მესამე რაუნდს ნამდვილად მოვიგებ!“ — გამიელვა სიხარულით გულში.

— კარგია, რომ მუხიანში მრავალი მაღალი, ლამაზი საცხოვრებელი სახლი ამენდა, მაგრამ კომპლექსის მშენებლობაში ბევრი ხარვეზი შეინიშნება. რომელთა აღმოფხვრა აუცილებელია. აბა, ვის შეუძლია წარმოიდგინოს, რომ 50-ათასკაციან დასახლებაში არ იყოს კინოთეატრი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, პოლიკლინიკა, აბანო...

— გარდა ამისა, ჩვენი რაიონი დიდი მანძილითაა დაშორებული ცენტრს. ამიტომ ისეთმა სამსახურებმა, როგორიცაა „თბომეურნეობა“, „სასწრაფო“, „თბილგაზი“ და მისთანანი, სასურველია, რაიონის ტერიტორიაზე შექმნან ფილიალები.

— შეიძლება, დავუმატო? — ავწიე ხელი და განვაგრძე: — მუხიანში რომ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლი ამენდა, ე. წ. პირველი კორპუსი და ახალმოსახლეებმა რომ მთლიანად გადაკეთ-გადმოაკეთეს და იქაურობა ნაგვით აავსეს, რას ფიქრობს ამაზე კოოპერაციის თავმჯდომარე თ. **აბშილავა?** — **ამკარად** ჩამეთვალა აქტივში.

— უნდა რცხვენოდეს. რასაკვირველია! მით **უმეტეს, რომ** იქვე მეორე კორპუსი ჩინებულ მდგომარეობაშია და **კოოპერაციის** თავმჯდომარე **გ. ბოკერიაც** ალბათ ვალმოხდილად გრძნობს თავს! — არ ველოდი ასეთ კონტრშეტევას.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ჟონი გასავალსაა! იცით თუ არა, რომ თქვენი რაიონის მკვიდრმა, ილორის ქ. № 12-ში მცხოვრებმა **ვალენტინა ნიკოლოზის ასულმა ფიოდოროვამ** 25 000 მანეთი შეაგროვა ქრთამის სახით დოყლაპია მოქალაქეთაგან, ვითომცდა დეფიციტურ გამოცემებს გაშოვნინებთ ნიგნით ვაჭრობის სამმართველოს მუშაკებთანო?

— ეგეც ვიცით, პატივცემულო, მაგრამ ის თუ იცით, თვითონ თქვენ, რომ ესა და არაერთი ასეთი საქმე ოპერატიულად გახსნეს გლდანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების (**უფროსი გ. კეკელია**) მუშაკებმა? კერძოდ, ამ მხრივ დიდად გამოიჩინა თავი სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა **თამაზ სახვაძემ.**

— „სტოოპ“! — შევაჩერე მეტოქე, — ეგ რომელი თამაზ სახვაძეა, 1962-1967 წლებში თბილისის „დინამოში“ რომ თამაშობდა ორ ნომრად? „დუბლების“ კაპიტანი რომ იყო, ხომ? 1964-ში ჩემპიონობის მცირე ოქროს მედალი რომ მიიღო. არა?

— დიახ, დიახ, სწორედ ეგ გახლავთ!

— ჰოდა, შე კაი კაცო, ასეთი სპორტული ბიოგრაფიის კაცი თუ გიდგას გვერდით. საიდან მოგიგებ!

თვალები გაუბრწყინდა, აბა, ჩემ ხელში ყოფილხარო, და დამა ყარა.

— სპორტსმენი ერთი მყავს გვერდით თუ ორი! რაიონში მუშაობენ **მურთაზ ხურცილავა, ჯემალ ცერცვაძე, ზურაბ საკანდელიძე, თენგიზ შელაშვილი. ზარიბეგ ბერიაშვილი, ლეო ეორდანია, ზურაბ ქარაბაკი, მერაბ ასიტაშვილი, სერგო მაღალაშვილი, ფირუზ კანთელაძე, ჯემალ კბილაშვილი, გურამ თავდიდიშვილი... ახლა სოციალისტური შრომის გმირები — გიორგი კურტანიძე და ვახტანგ ემნაძე!!!**

— გასაგებია, გასაგები, — ვთქვი სასომიხდილმა და გონგის ხმაც გაისმა — ძირითადი დრო ამოიწურა. დამატებითი რაუნდი საჭირო აღარ გახდა, რადგან იმ ძირითად მიზანს, რაიც „ნიანგის“ წინაშე იდგა, მივაღწიე — ვიხილე და ახლოს გავიცანი გლდანელი მშრომელები, ამ რაიონის სახელოვანი ადამიანები, მისი წარმატებანი. და თუ საკბილო ბევრი ვერაფერი მოვიძიე, ეს მახარებს კიდეც: თუკი არავითარი ნაკლი და ხარვეზი არ იქნება, თუკი აღიკვეთება სპეკულანტობა და თაღლითობა, თუკი თავსაყრელად გვექნება სურსათი და სანოვაგე, ნიანგსაც რა უნაღვლება — შეეშვება მამხილებელ სატირას და მხოლოდ კეთილშობილ იუმორში, მხიარულებასა და სიამტკბილობაში გაატარებს დარჩენილ სიცოცხლეს.

ასე რომ, ძვირფასო გლდანელებო, თქვენც იცოცხლეთ და იმხიარულეთ და ნურც მე დამტოვებთ უღიმილოდ!

ნიანგის დავალებით — მისი სპეციალური კორესპონდენტი

გიზო ზარნაძე

ნახ. ბ. ბაბიჩინისა

— რას შვრები, კაცო, ათი ვაგონი მეკუთვნის და ორს მაძლევ?
— სანაა ამ ორ ვაგონს ბაიბან, დანარჩენი მაინც დალაბეს!..

ნახ. დ. ზარაფიშვილისა

— შეხედე, ახალია დირექტორმა შტატი მთლიანად თავისი მეზობლებით დაუკომპლექტა!

ნახ. ბ. მორგაჩინა

ბაზეთებიდან

ჩვენი ინსპექტორის ინფექციი ბეჭიერება ცდილობს, ეიხედეს ბოლოს სანდალიანი დაზეზეულები. ბიბანოვს ჰგონ დანარჩენებიანად! ოიდეოდ ჩანს, ჩვენი საკეთილი ინეზეზეულებს, ფიზიკოსებს ბაბიერ ბაბიერებს, ეკანონიერიბა ფიზიკურ ბეკრეს. ხეალბრეზეულ ფიკოვ პროფესიულ ოიეკიკოვ-ინა.

— ეს ხალხი დელეგაციას ხვდება?
— არა, ჩვენი სტომატოლოგიური კოლეკლინიკის მთავარ ექიმს კბილი აბეკვიდა და მოსკოვში მიფრინავს ამოსალეკად!

რა ყრია ეგზავრმაგალ

— გამარჯობა, ძმაო ნიანგო! ამ ბარათს სილიბისტრო ფუფალეკე გიგზავნი სარხეერიდან. გეგიგონია ამაზე ალმაშფოფოფელი ამბავი?! 8 ივლისს მე და ჩემს მეზობლებს საჩხერის მატარებელი უნდა ვეგემგზავრა თბილისიდან; ავიღეთ მეთორმეტე ვაგონის ბილეთები, მიეგდიდი მატარებელთან და... მეთორმეტე ვაგონი საერთოდ არ ეგბა! არა, ამერიკაში რომ ვყოფილიყავით და, ეთქვათ, მეცამეტე ვაგონის ბილეთები გვქონოდა, კიდევე ჰო!.. ამბობენ, იქ ცამეტი რიცხვი თარსად მიაჩნიათ, მაგრამ აქ, ჩვენში, ცამეტის ნაცვლად თორმეტი მიაჩნიათ თარსად?! იქნებ მიპასუხო, რა ხდება!

გიპასუხებ, ჩემო სილიბისტრო: აქ თორმეტი და ცამეტი ნომერი არაფერ შეაშია. ამას წინათ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა ტრანსპორტზე ნეკგატიური მოვლენებისა და დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიამ ვანიხილა ეს საკითხი და ისიც გამახსენდა, რომ მარშან ერეკან-როსტოვის მატარებლის არარსებულ მეთექვსმეტე ვაგონზეც გაიყიდა ბილეთები. ახლა რაღას იტყვი, თექვსმეტიც თარსი რიცხვია?! აღშფოთებული ხარ, მეთორმეტე ვაგონი საერთოდ არ ეგბო, მერე რა მოხდა?! მეცხრე ეგბა? — ეგბა! მეათე ეგბა? — ეგბა! მეთერთმეტე ეგბა? — ეგბა! მაგრაღა ვინდა, მაინდამაინც მეთორმეტეც უნდა ამოდა? შენ იქნებ 112-ე ვაგონის ბილეთიც აეკეღო, მაგრამ ვინაკავს სამგზავრო მატარებელი, 112 ვაგონი რომ ეგბის? ახლა საკითხს სხვაგვარად მივუდგეთ: იცი შენ, რამდენი ტონა ლიფინია თითო ვაგონი? ამ მომჭირნეობის ეპოქაში 18-20 ვაგონიდან, ყოველდღე თითო ვაგონის გამოკლებით, იცი, რამდენი კილოგრამი ლიფინის ეკონომია შეიძლება? კარგი, შევეშვათ ეკონომიას და ახლა ჯობს მეორე ბოლოსკენ გავიხედოთ. როგორ გვონია, ის შენი მეთორმეტე ვაგონი სად გაქრა? ჩაქეხი ხომ არ იყო ან ქლიბი, რომ ვინმეს სახლში წაეღო? ალბათ ჩიხში ჩაადგეს! ნასულიყავი შენც ჩიხში და ჩამჯდარიყავი, რახან მეთორმეტე ვაგონის ბილეთი გქონდა! ისიც ხომ შეიძლებოდა, რომ საერთოდ ვერ გეშოვა ბილეთი? პატივი გეცეს, ამ საბჭოლეფო ციტა-ცხელების ჰერიოდში რაგორღაც გაგიხერხეს ბილეთი, შენ კი აღშფოთებული ხარ, ის ვაგონი არ ეგბა! შენი მეთორმეტე ვაგონი რომ ბმოდა და სხვისი მეთოთხმეტე არა, მაშინ ხომ არსეინად იქნებოდი, მაშინ ხომ ასე არ აღელდებოდი?! როგორ გგონია, შენს საქეიელს ეგოიზმის სუნი არ ასდის?! მაგრამ მარტო შენ როდი ხარ ეგვთი, ერთი უსმინე, რას ამბობს ერთი ცოლქმარი:

— თბილის-მოსკოვის მატარებელზე შევიძინეთ მეთორმეტე ვაგონის ოცდამეთხუთმეტე და ოცდამეთექვსმეტე ადგილების ბილეთები. ვაგონში რომ შევედით, ამ ადგილებზე სხვები დაგვხვდნენ.

დიდი ამბავი, თუ სხვები დახვდნენ! მატარებლისათვის ყველა მგზავრი მგზავრია. ახლა მითხარი, ჩემო სილიბისტრო, რომელი სჯობდა, საერთოდ არ მიეცათ მათთვის ბილეთები, თუ მიეცათ და მათ ადგილებზე სხვები აღმოჩენილიყვნენ? ბოლოს და ბოლოს, პირველი შევარდი ვაგონში, მაგრამ დაუჯექი შენს ადგილზე და თან ცალი თვალი მილიციელისკენ გეჭიროს, რომ იქიდან არ აგაგდონ, მაშინ სხვა ეველარ გეგიბეკვას ადგილის წარმოშვანს! ან რატომ ხარ დარწმუნებული, რომ ის ადგილი მარტო შენია?! ჩვენს ადგილებზე სხვები დაგვხვდნენო! რას ჰქვია სხვანი?! — ავსტრალიიდან იყვნენ ისინი თუ კალიფორნიიდან?! ვანა საბჭოთა მოქალაქეები არ იყვნენ? ერთსა და იმავე ადგილზე ორჯერ და სამჯერ იყიდება ბილეთები, ცხარობთ! ეს იმიტომ ხდება, რომ მგზავრი ბევრია, ადგილი კი ცოტა, ერთს მისცენ და მეორეს უარი უთხრან, უნერხული არ არის? თქვენ კი დაგიინიეთ და აცხადებთ, ახე ხომ მოლარეები | აშენდებინაო! აშენდნენ მერე, თქვე კაი ხალხო, თქვენ რა?..

ეჰ, რამდენნაირ ადამიანს არ შეხვდები ცხოვრებაში! კომისიის სხდომაზე ისიე ითქვა, რომ თბილის-ხოჭის, თბილის-გაგრის, რუსთავ-თბილის-ხოხუმის, თბილის-ზუგდიდის, თბილის-ბათუმის, თბილის-მახარაძის, თბილის-ფოთის მატარებლებში ვაგონების ინტაკები დაუგეკეი ოფი, მინები — ჩამტვრეული, ტუალეტი — უსუფთაო, წყლის ონკანები დაზიანებული, თეთრეული-უსარისხო. ამდენ მატარებელზე თუ ასეთი მდგომარეობა იყო, ესე იგი, ასეა საჭირო! ამას რა დიდი მიხეკვრა უნდა? ბოლოს და ბოლოს, მგზავრობა თუ გინდა და ინტერიგანი თუ არა ხარ, ვაგონში სულ არ შეხვალ და მის სახურავზე დაჯდები! სიცხეში ვრილი ნიავი სასიამოვნოცაა! ან ის რა საქციელია, თბილის-ქუთაისის მატარებლის ბრიგადირს რომ ჩაუდენია: ვიდრე ცოტა თეთრეული მაინც არ მიუტანს მგზავრებისთვის, მოძრავი შემდგენლობა ადგილიდან არ დაიძრა და მატარებელი თბილისის სადგურიდან ორმოცდათხუთ წუთის დაგვიანებით გავიდა. ორმოცდახუთ წუთში ჩვენი მეკარეები სამ-სამი ბურთის გამეკვას მოახერეგდნენ! ცოტაა? ან რას მიაღწია იმ ბრიგადირმა, ახე რომ ვაკიუტდეთ? — ას კაცზე ოცდახუთი მგზავრისთვის განკუთვნილი თეთრეული მიუტანეს!..

აი, რა მოსდევს სიფიუტეს. პატივცემულო სილიბისტრო! არ გინდათ ეს ნაკუიუტე, აღშფოთება და ჩვეული, რახაც ათასვგარი კომისიების სხდომები და მსჯელობები მოსკეკვა ხოლმე. გიფიქრიათ, რამდენი დრო და ენერგია მიაქეს ამ საქმეს, რამდენი კაცი ცდება თქვენნაირი ინვალიდების შესწავლითო?! ბოლოს და ბოლოს, მგზავრობა თუ გინდათ, რას დაეძებთ, ერთ ადგილზე თუ სამი ბილეთი იყიდება, ტატეტეტ ეს რომელიმე ვაგონი აკლია, დანარჩენ ვაგონებში თუ უსუფთაობაა და ყველა მგზავრისთვის არა აქვთ თეთრეული? თქვენ ხომ გაგქთ სახლში თეთრეული და სისუფთავე? დაჯექით და ისიამოვნეთ თქვენთვის! კაცმა რომ თქვას, რა ყრია ამ მგზავრობაში?

ნიანგის დავალებით —

გიგა მახვილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— როგორ მოხვდი ამ ბოთლში?!
— ღვინომ ჩამიტყუა!

ნახ. ...

უსიტყვოდ

ნახ. ვ. კუციასი

წინასწარი ეპიტაფია

ჩემს თანამსმელებს
მოგმართავთ, —
ორ დღეში ოთხჯერ
მთვრალებსა, —
ძალიანა გთხოვთ, უმატეთ
ქეიფის ინტერვალებსა! —
კარდიოგრამამ რომ ვნახე,
არ დავუჯერე თვალებსა:
სულ დაუსერავს ეს გული
მიკრო- და მაკრო ბზარებსა!..
ვაჰმე, რა გვიან გირეკავთ
„უალკოჰოლო ზარებსა“!
„საქმეს წაახდენს რეგვენი,
ფათერაკს დააბრალებსა!..“

წიქა



უსიტყვოდ



რაციონალიზატორი

ნახ. ვ. კუციასი



ნახ. ა. ერაძისა

უსიტყვოდ

კოლმეურნეობის კანტორაში ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა. შემდეგ მეორედ, მესამედ...

გამხდარი, კითხვის ნიშანივით მოხრილი ბუღალტერი ყურმილს სწვდა, იდაყვს დაეყრდნო და სმენად იქცა.

ყურმილი ჯერ დუმდა, შემდეგ ხრიალი დაიწყო, მცირე პაუზის მერე კი ალაპარაკდა: დღეს, 12 საათზე, თათბირია დანიშნული აგროსამრეწველო გაერთიანებაში და თავმჯდომარე დაესწროსო.

ბუღალტერს ტანში გასცრა, სახე აელეწა. ეს რა საგონებელში ჩამაგდო იმ კაცმაო, გაიფიქრა და მზერა თავმჯდომარის მაგიდისაკენ გაექცა.

— არ გესმის, კაცო!?-უმატა ხმას ყურმილმა.

— ბატონი ავთანდილი შვებულებაში გახლავთ, მთავარი აგრონომი კი ლოგინად ჩავარდა და საავადმყოფოში წევს.

— რაო, რაო?! — ღრიალის მსგავსი ხმა მოისმა ყურმილიდან.

სილობისტრო გაოგნებული იჯდა, ფიქრობდა, რაღაცას ანგარიშობდა. გაიფიქრა, ალბათ ვერ გავაგებინეო, და სათქმელი დამარცვლით გაიმეორა.

— ხუმრობის ხასიათზე სრულებით არა ვარ, ბიჭო! — გაჯავრდა ყურმილი და ბუღალტერმა გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის ბოხი ხმა იცნო.

— არც მე ვხუმრობ, ბატონო!

— გადაგვრევს ეს კაცი! ამ გაცხარებული მუშაობის დროს, მთელი კოლმეურნეობა რომ ახალშობილი ბავშვივით გააშიშვლა, რით აპირებს გეგმების შესრულებას?

ბუღალტერმა ვეღარ მოითმინა:

— წელებზე ფეხს ვიდგამთ, ბატონო, და შევასრულებთ!

— ნუ ფანტაზიორობ, ბიჭო! წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან...

— ბუღალტერი ვარ და, წიწილებს კი არა.. — მაგრამ ჩაფიქრდა და ენას კბილი დააჭირა.

— მაშ, დაჭკრა ფეხი და გიყვარდეს ნავარდი, არა? თქვი ბარემ, სად ბრძანდება?

— შავიზღვისპირეთშია, ბატონო! — თქვა და შეკრთა, იგრძნო ზედმეტი რომ წამოროშა.

ყურმილმა გულიანად გადაიხარხარა. ჩაახველა, თითქოს რაღაც გადასცდაო, და ცოტა ხნის მერე წარმოთქვა:

— ამ პაპანაქებაში ყანებსა და ზვრებში ტრიალს ეშხიან მზედაკრულ ქალიშვილებთან კოტრიალი ურჩევნია პლაჟზე, ხომ? ჭაღარა გამოერია, ჭკუა და... ჰოდა, მაშინ თქვენ ჩამობრძანდით თათბირზე.

— კი, მარა... — დაიწყო ბუღალტერმა, მაგრამ ყურმილიდან ახლა მხოლოდ ტუ-ტუ-ტუ-ტუ ისმოდა.

ბუღალტერმა საანგარიშო მოიმარჯვა და კოჭები ააჩხაკუნა. ჩამოყარა ერთხელ, მეორედ, მაგრამ ამ წყეულ ბალანსს, დალახვროს ღმერთმა, ხან კაპიკები აკლდებოდა, ხან კი ზედმეტი გამოდიოდა.

გამარჯვებულმა საბუთები მოხვეტა, სეიფში შეაყარა და ჰაიდა თათბირზე.

ასე შეითავსა ბუღალტერმა თავმჯდომარის ერთ-ერთი, ნაკლებ სახარბიელო მოვალეობა, ასე მოულოდნელად ჩაება თათბირების ფერხულში.

ლანძღვა-გინება არ დაჰკლებია ამ თათბირებზე „თვითნება“ თავმჯდომარეს, არცთუ იშვიათად მოქნეული შოლტი ბუღალტრის ზურგსაც სწვდებოდა, თითქოს მას გაეშვას თავმჯდომარე საგარაკოდ ამ შუა ზაფხულში. ახლა მუქარას არ იკითხავთ?

ერთი თვის თავზე კი დანაპირები პირნათლად შეასრულეს და კოლმეურნეობას საგანგებოდ შერჩეული კომისია მიადგა...

— როგორ, კიდევ არ ჩამობრძანებულა თქვენი მოაგარაკე?! — შევიდა თუ არა კანტორაში, უკმაყოფილოდ იკითხა კომისიის თავმჯდომარემ.

გლეხები წამოიშალნენ. ერთმა თეთრწვერა მოხუცმა ეშმაკურად ჩაიღიმა ულვაშებში, მხრები აიჩეჩა და თქვა:

— თავმჯდომარე არსად არ წასულა, ბატონო ჩემო, დღედაღამ ჩვენთან ტრიალებს.

— როგორ თუ არ წასულა?! — განცვიფრდა კომისიის წევრი და ღიმილმოფენილ გლეხებს გადახედა.

მოთხრობა

ბუღალტერმა ფანჯარა გამოაღო, ხელი უკანა ეზოში მდგარი ტრაქტორისაკენ გაიშვირა, რომლის ქვეშ გულმოდგინედ ფუსფუსებდა თავმჯდომარე.

კომისიის წევრები დამდუღრულებივით აწრიალდნენ, ტრაქტორთან სულმოუთქმელად მიიჭრნენ.

— ეს რა კომედია გაითამაშეთ?! — გაცეცხლდა კომისიის თავმჯდომარე.

ავთანდილმა ბოლო ქანჩს მოუჭირა, ფეხზე წამოდგა, მაზუთიანი ხელები შეიწმინდა, მტვერი გაიფერთხა და კომისიის წევრებს მიუბრუნდა:

— აბა, რა უნდა მექნა?! ხომ ხედავთ, მექანიკოსობაც კი... ზვრები და ყანები რომ მიმეტოვებინა, კომედია კი არა, ტრაგედია დატრიალდებოდა კოლმეურნეობაში. ჰოდა, ავიღე და გავიფორმე შვებულება, თათბირებზე რომ არ მევლო...

ტრაქტორთან შექუჩებულნი ორ ჯგუფად გაიყვნენ: ჩამოსულები იფხორებოდნენ, ბრაზობდნენ, დამხვდურნი იღიმებოდნენ, ხუმრობდნენ. თავმჯდომარემ არ დააყოვნა და დაძაბულობა განმუხტა — ახლა ყანებსაც ვეწვიოთო და ამალას ჩქარი ნაბიჯით გაუძღვა წინ.

რა არ დაათვალიერეს: ზვრები, ბაღები, ბოსტნები... მაგრამ კბილგასაკრავი კი, ნურას უკაცრავად, ვერაფერი იპოვეს.

გიორგი გოლეთიანი

ბედმა ბაზარს მამიყვანა!...

დუქნებში არც აღარაა! — ბედმა ბაზარს
მამიყვანა!
ნიგოზი ღირს ოცდახუთი! — ერთმა ბაზარს
მამიყვანა!
ვაშლი სამი მანეთია! — ნეტა რაღამ
მამიყვანა?!
ყველი მინდა! — გამყიდველმა ცრემლი ყელში
მამიყვანა!

უიხტიბრო ესე ფული როგორც მოვა, ისე
წავა!
მე ერთ თვეში, რაც ავიღე, კაცმა წუთში
ამატყავა!
მოვიკუნტე სიმწრისაგან, სახე მექცა თეთრი
— შავად!
თავსა ვწყევლი და იმასაც, ვინაც ბაზარს
მამიყვანა!

საღამომდე რომ ვიცოცხლო, დილით ცოლი
მომკლავს, თინა!
სად წავიდა ფულის დასტა, ვერაფრით ვერ
დაადგინა!

„სიმართლე ვერ გავიყვანე, ბევრგან ტყუილს
უდევს ბინა!"
სიცოცხლე რომ მომსწრაფოდა, — ბედმა
ბაზარს მამიყვანა!

ცოლი მიბღვერს, ბოლთასა ცემს,
საყვედურით მეხვეწება:
„ლობიოთი გაზრდილს, კაცო, მითხარი, რა
გეყველება?!"
გადაიქცა ლაზღანდარად, ყელი აღარ
ეღერება!
შვილნი მემტრნენ! — ჩემდა ცოდვად ფეხმა
ბაზარს მამიყვანა!

გავთავდი და გავსავათდი, ღიმი აღარ მიკრთის
პირზე!
დღეს თუ ფეხი არ გავჭიმე, მეტს არ წავალ
„დეზერტირზე"!
გინება და ლანძღვა ასი, მაკერია გულის
პირზე!
„ჯერ უფურჩქვნელ კოკორს მწყვეტენ!" —
ბედმა ბაზარს მამიყვანა!

ჯემალ კვერენჩხილაძე

ნახ. მ. აბაშიძისა

— გამატარე, თორემ გაგიტანს!

ბაზარში ყურმოკრული

— რა ღირს ლეღვი?
— სამი და ათი შაური!
— მათხოვე ერთი ცალი, სიგარეტს მოვუკიდებ და დაგიბრუნებ!

—:—

— თუ დედალი არა ხარ, გაბედე და დედალი იყიდე!

—:—

— რამდენ მანეთს ისხამს შენი ატამი წელიწადში?

—:—

— ყოველდღე ბაზარში რომ ხარ და დღეში ორმოც გოჯს ყიდი, საიდან?!
— ყოველდღე რომ ბაზარში დადიხარ და ას მანეთს ხარჯავ, გეკითხები, საიდან-მეთქი?!

ახალი ანდაზები

თოხს გაურბის ლაზარია,
მისი საქმე ბაზარია!

—:—

ფასი მკვახე პანტისაო
გეგონება ფანტაზია!

—:—

გლეხს ბაზარში მეფურ აზის
და ზეიმობს სპეკულანტი!

გარი მეტრეველი

ნახ. დ. თოთიბაძისა

ეჭვმიტანილია მწერლობაში!

დისერტაცია

მიუახლოვდა კათედრას,
სიტყვა დაიწყო ხალისით,
სირცხვილის წარმოშობაზე
ურცხვად დაიცვა ხარისხი!..

სამეცნიერო ტიტული
ფულისთვის სურდა, სხვა
რისთვის?!.

და, მფარველების წყალობით,
რაკი ხელთ იგდო კათედრა, —
ვინ შეკადრებდა აუგს და
ცუდ რამეს ვინ აკადრებდა?!

გულში კი ვინ რას ფიქრობდა, —
ის ერთმა ღმერთმა იცოდა!
კუთხეში იდგა სირცხვილი
და სირცხვილისგან იწვოდა!..

რევაზ ართილაყვა

შეხვედრა რესტორანში

ამას წინათ რესტორან „მუღამში“ გაიმართა ყოფილ საქმოსანთა ქაქანი დევიზით: „ფული გაქვს — კაცი ხარ!“

ვაი-მოხსენება თემაზე — „ფული ხელის ჭუჭყია, ამიტომ ჯიბეში უნდა გედოს!“ — გააკეთა ჩაწყობჩახლაფორთჩაკვარახჭინმაყუთბაზის დირექტორის მოადგილემ წაგლეჯის დარგში რაინდ ფულავამ. თანაუიმომხსენებელმა ლაქლაქაძემ ვრცლად იბოდიალა ერბო-კვერცხის, კარაქისა და დოს მუქთად ყლაპვის ხელოვნებასა და დოყლაპიათა პირდალებულობის სავალალო შედეგებზე.

აბდაუბდა კამათში მონაწილეობა მიიღეს და შეძლებისდაგვარად კაიხანს იქაქანეს ცნობილმა სპირტმსმელმა შებერტყილაძემ, ვეტერანმა ლოთ-მატრაბაზმა გატრეტილაძემ და ქაქანტრესტის ახალგაზრდა დეკლამატორმა ტლიკინაშვილმა.

უაზრო სიტყვები წამოროშეს და მკერდებზე მჯილები იბრაგუნეს სახაშე „დამისხის“ გამხდარმა მზარეულმა ხრაკიაშვილმა, პავილიონ „მოდი, ჭამეს“ ყაჩაღ-მებუფეტემ ჯიბეთხელიშვილმა, კაფე „ქაფე“-ს მუქთადმჭამელმა ექსპედიტორ-ხაშლამოლოგმა მაყუთიანმა და „თბილცხელგრილცივმწარმჟავტკბილმლაშტრესტის“ № 2 კომბინატის მთავარმა კომბინატორმა სიაფანდიამ.

დაჯიჯგნეს, გაპუტეს და ერთმანეთი დაჭამეს გაერთიანება „გასუქდი“-ს ხალტურისტ-ეკონომისტმა ჯიბიანიძემ, მეფუნთუშე პუტკუნაძემ, ბაკალეა „ჩიტის რძის“ მშიშარა დამფასოებელმა მტაცებლიძემ, უმარიფათო მოლარემ მადამოსულიშვილმა და საბლინე „შეგერგოს“ დოყლაპია გამგემ ბუთხუზ მსუქნაძემ.

სისულელეების როშვით საჯაროდ თავები მოიჭრეს პირველი კატეგორიის აფერისტმა. მეორე კატეგორიის მზარეულ-მებუფეტემ ყალთაბანდიშვილმა, „ლევპრავპუნქტის“ უფროსმა გაბელნძილაშვილმა და უსაქმურმა საქმოსანმა უდარდელაძემ.

ლანძღეს, თათხეს, მიწასთან გაასწორეს და სამსახურიდან გაგდების კანდიდატებად დაასახელეს უენო მრეცხავი მუნჯიშვილი, დამლაგებელი რწყილიაშვილი, ყარაული მძინარაული და ცეცხლფარეში ქიბროწაშვილი.

ნაცარში კოვზჩავარდნილმა საქმოსნებმა ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი სცეს მარად დაუვიწყარი, ძვირფასი წლების ხსოვნას. როცა ისინი ფულს დაუთვლელად იჯიბავდნენ და გასკდომამდე იბლინძებოდნენ.

მადლობა გამოეცხადათ რესტორან „მუღამის“ თანამშრომლებს, რომლებმაც შუბლის ძარღვების გაწყვეტითა და სინდისზე ხელის აღებით დიდძალი თანხა მოიგეს...

საღამოს ადგილობრივ საქმოსანთა გატენილი ჯიბეების ძალებით გაიამრთა ბანკეტი, ბოლოს, ერთმანეთს თავში ურტყეს ხან წიხლი და ხან — კეტი...

საბანკეტო დარბაზიდან გამოსვლისას თითქმის ღრიალით, გინების თანხლებით, შესრულებულ იქნა სიმღერა „აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს. კარგო?!“

სიმღერა გინებიანად მოისმინა და შთამომავლობას არ დაუკარგა ვანო ცინცაძემ

ნახ. გ. ფირცხალავასი



შამპანური პრასით

7-83
83-677

ნახ. გ. ლომიძისა

ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲩᲐᲓᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲚᲕᲘᲕᲔᲑᲐᲡ.
ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

№ 677
28.X 1983 წელი

— ძია, რას ᲩᲐᲓᲘᲮᲐᲠ?

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 18 (1652) სექტემბერი. გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ᲖᲐᲣᲠ ᲒᲝᲚᲫᲕᲐᲫᲔ

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ᲯᲐᲑᲬᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ, ნომადი ბართაია, ᲑᲝᲠᲘᲡ ᲒᲣᲠᲒᲣᲚᲘᲐ, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ᲯᲔᲛᲐᲚ ᲚᲝᲚᲣᲐ, ნოდარ მალაზონია (მხატვარ. - რედაქტორი), ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲐᲛᲡᲮᲝᲜᲘᲐ, ᲑᲔᲯᲐᲜ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ᲯᲐᲜᲡᲮᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ, თამაზ წივწივაძე, ნაფი ᲯᲣᲡᲝᲘᲗᲘ.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ᲙᲣᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გადაეცა ასაწყობად 25. 8. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 10. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 2024 უე 07222 ტირაჟი 138.300. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380008, თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პᲘᲙᲘ
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 76137